

უმადლეს საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოთხოვნის კვლევა იმერეთში

იგორ ბალანჩივაძე – ასოცირებული პროფესორი, პერდაგოგიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

თეა ვალიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Research on the Demand for Higher Educational Services in Imereti

Balanchivadze Igor - Associate Professor, Department of Pedagogics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Valisvili Tea - Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Nowadays due to the competition in educational service sector, there is a great need for higher educational institutions for effective functioning to have information about the factors that determine the school-leavers' preference of a certain profession or an university. In this respect, in April-May, 2016 Faculty of Pedagogics and the Public Relation Service at Akaki Tsereteli State University carried out a survey on the demand for higher educational services. The research was implemented by the first-year MA students of the same faculty majoring in "Educational Sciences and Management". The research was carried out within the course "Modern Research Methods in Education". The aim of the research was to study the demand for higher educational services in Imereti, to learn the opinions of the school-leavers and inquire the factors that influenced the preferences and the attitudes of school-leavers. Therefore, the target group of the study was selected from cities and regions of Imereti public schools with 630 final-year students.

Research methodology: We used the divergence phase space as MA students were given ready-made questionnaire. There are many different research methods in the field of education like pedagogical observation. In our case, we used the survey methods, in which the researchers are attracted by the universality and accessibility. The survey was conducted by the method of questioning. A special form of a questionnaire was developed. The questionnaire was the main instrument of interviewers as the research was based on it.

Results and implications: According to the research, we can conclude that there is a still great interest towards higher education in Georgia. Subsequently, there is a great demand for educational services. The survey reveals that medicine is still the main priority in educational field; the second place was occupied by Law, followed by the specialties in economics.

Conclusion: The research helped MA students put their theoretical knowledge into practice and get integrated into research processes. The study will help the Akaki Tsereteli State University to establish a communication and marketing strategy tailored to the school-leavers and future entrants.


Keywords: effective functioning, preference, questionnaire, strategy

საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის თანამედროვე პირობებში უმადლეს სასწავლებლებს ეფექტური საქმიანობისათვის ესაჭიროება ინფორმაცია იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც განაპირობებენ აბიტურიენტების მიერ ამა თუ იმ სპეციალობისა და კონკრეტული სასწავლებლის არჩევას. ამ ფაქტორების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

სასწავლებლის მიერ მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისას, ახალი სპეციალობების გახსნისა და არსებული მიმართულებების განვითარებისას, აგრეთვე მიზნობრივი სარეკლამო აქციის ჩატარებისას. ამ თვალსაზრისით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად 2016 წლის აპრილ-მაისში ჩავატარეთ კვლევა საჯარო სკოლის მე-11 და მე-12 კლასელებთან. კვლევა განახორციელეს ამავე ფაკულტეტის მაგისტრატურის „განათლების მეცნიერებები და მართვა“-ს სპეციალობის 1-ლი კურსის მაგისტრანტებმა საგნის „კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში“ ფარგლებში.

ჩატარებული სპეციალური გამოკვლევა მნიშვნელოვნია რამდენადაც მასში მონაწილეობდა 630 მოსწავლე (დიაგრამა 1) და ითვალისწინებდა საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოთხოვნის შესწავლას როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი პარამეტრების მიხედვით.

დიაგრამა 1. კვლევაში მონაწილე მოსწავლეები



კვლევის მიზანი იყო იმერეთში უმაღლეს საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოთხოვნის შესწავლა, აბიტურიენტების აზრის, სპეციალობის არჩევის ფაქტორებისა და განწყობის შესწავლა. აქედან გამომდინარე, კვლევის ობიექტად შეირჩა იმერეთის ქალაქებისა და რაიონების საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები. ესენია: ქუთაისი, წყალტუბო, ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, ბაღდათი, ტყიბული, ჭიათურა.


განათლების სფეროში კვლევის დაგეგმვას საკმაოდ დაფიქრება ჭირდება. კვლევის დაგეგმვისას არსებობს ორი ფაზა: დივერგენციის და კონვერგენციის. ჩვენ გამოვიყენეთ დივერგენციის ფაზა, რადგან მაგისტრანტებს შევთავაზეთ წინასწარ გამზადებული ანკეტა. განათლების სფეროში კვლევის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, როგორცაა: პედაგოგიური დაკვირვება, გამოკითხვის მეთოდები, ტესტირება, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და გამოყენება და ა. შ. ჩვენს შემთხვევაში გამოვიყენეთ **გამოკითხვის მეთოდები**, რომელშიც მკვლევარებს იზიდავთ უნივერსალობა და ხელმისაწვდომობა. განზოგადებული მონაცემების მიღებისათვის ხმარობენ ანკეტებს, რომელიც გამოვიყენეთ ჩვენს შემთხვევაში. ანკეტირების ღირსებას წარმოადგენს შემოწმების მასობრიობა და ინფორმაციის მოგროვების სისწრაფე.

კვლევა ჩატარდა ანკეტირების მეთოდით. გამოკითხვისათვის შემუშავებული იქნა სპეციალური კითხვარის ფორმა. კითხვარი წარმოადგენდა ინტერვიუერთა ძირითად სამუშაო ინსტრუმენტს. ამ შემთხვევაში გაზრდილი იყო ინტერვიუერის მხრიდან რესპონდენტის წინასწარი ინსტრუქტაჟისა და შევსებული კითხვარის ხარისხის კონტროლის აუცილებლობა.

კვლევის ძირითადი შედეგები. პირველ კითხვაზე, „აპირებენ თუ არა სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში?“


პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: დიახ – **86%**, ხოლო **14%** საერთოდ არ აპირებს სწავლის გაგრძელებას. უმაღლესი განათლებისადმი ინტერესი და მოთხოვნა საგანმანათლებლო მომსახურებაზე უდაოდ უნდა ჩაითვალოს დადებით ტენდენციად.

დიაგრამა 2. სწავლის გაგრძელების მსურველი



სწავლის გაგრძელებაზე უარს ამბობს შემდეგი მიზეზის გამო: არ მაქვს სურვილი ამბობს **32 (34%)** გამოკითხული. **30 (32%)** გამოკითხული ამბობს, რომ არ მაქვს ჩაბარების იმედი; გამოკითხულთაგან **26 (27%)** მიზეზად ასახელებს ფინანსური პრობლემებს; სხვა მიზეზს (უფრო მეტად ოჯახური მდგომარეობა) ასახელებს **7 (7%)**.

დიაგრამა 3. სწავლის გაგრძელებაზე უარის მიზეზები




გამოკითხული მოსწავლეებისაგან მომავალი სპეციალობების არჩევები გადანაწილდა შემდეგნაირად: გამოკითხულიდან **91** მოსწავლე აღნიშნავს, რომ სურს სწავლა გააგრძელოს სამედიცინოზე, რაც წარმოადგენს გამოკითხულთა **16%**-ს, გამოკითხული მოსწავლეებიდან **84** ირჩევს სამართლის სპეციალობას, რაც პროცენტულად არის **15%**, გამოკითხულიდან **62** ეკონომიკას ირჩევს, რაც შეადგენს

11%-ს; გამოკითხულიდან 61 აღნიშნავს, როს სურს სწავლა გააგრძელოს ბიზნეს ადმინისტრირებაზე, რაც წარმოადგენს გამოკითხულთა 11%-ს; 31 გამოკითხული უპირატესობას დაწყებით განათლებას ანიჭებს, რაც შეადგენს გამოკითხულთა 6%-ს. 20 ირჩევს უცხო ენებს, რაც პროცენტულად არის 4%, ჟურნალისტიკას 14, პროცენტულად ეს არის 3% და ა. შ.

როგორც გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, სწავლის პრიორიტეტულ მიმართულებებად კვლავინდებურად რჩება სამედიცინო სპეციალობას. მეორე ადგილი კი ისევ უჭირავს იურიდიულ სპეციალობებს, ხოლო შემდეგ მოდის ეკონომიკური სპეციალობები.

დიაგრამა 4. აბიტურიენტებში ყველაზე პოპულარული სპეციალობები



კითხვაზე „რომელს სამ უნივერსიტეტს მიუთითებთ ეროვნულ გამოცდებზე თვენს რეგისტრაციისას?“ მიღებული პასუხები შემდგენიარად გადანაწილდა: პირველ ადგილზე დაასახელეს შემდეგი უნივერსიტეტები: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 184 (32%), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 163 (28%), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 58 (10%), სამედიცინო უნივერსიტეტი 55; 10%, საქართველოს უნივერსიტეტი 23 (4%), კავკასიის უნივერსიტეტი 7 (1%), კავკასიის უნივერსიტეტი 7 (1%), და ა. შ.


მეორე ადგილზე დაასახელეს შემდეგი უნივერსიტეტები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 126 (30%), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 87 (21%), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 59 (14%), თავისუფალი უნივერსიტეტი 23 (5%), კავკასიის უნივერსიტეტი 20 (5%), საქართველოს უნივერსიტეტი 19 (5%), და ა. შ.

მესამე ადგილზე დაასახელეს შემდეგი უნივერსიტეტები: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 78 (25%), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 63 (21%), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 33 (11%), კავკასიის უნივერსიტეტი 29 (9%), საქართველოს უნივერსიტეტი 23 (7%), სამედიცინო უნივერსიტეტი 14 (5%) და ა. შ.

კვლევის დროს ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო თუ ვინ ან რამ განაპირობა მათი არჩევანი. გამოკითხულთაგან 496 აღნიშნავს, რომ ეს არის მათი საკუთარი არჩევანი, რაც პასუხების 88%-ს წარმოადგენს; გამოკითხულთაგან 46 აღნიშნავს, რომ ასე ურჩიეს მშობლებმა, რაც პასუხების 8%-ს

წარმოადგენს; 20 გამოკითხული აღნიშნავს, რომ ეს ურჩიეს მეგობრებმა, რაც პასუხების 3%-ს წარმოადგენს; 4 ასახელებს სხვადასხვა მიზეზს, პროცენტულად კი ეს არის 1%.

დიაგრამა 5. ვინ განაპირობა არჩევანი



კვლევის დროს ჩვენ ძალიან გავინტერესებდა იცნობდნენ თუ არა აღნიშნული უნივერსიტეტებში მათთვის სასრველ პროგრამებს: გამოკითხულიდან 450 (81%) ამბობს დიახ, ხოლო 107 (19%) არას. ეს გვიჩვენებს, რომ სტუდენტებს აქვთ გააზრებული მომავალი სპეციალობა და მომზადებული მიდიან უმაღლეს სასწავლებელში.

ჩვენი კვლევისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია, თუ რა იყო კონკრეტული უნივერსიტეტის არჩევნის მიზეზი, მომავალმა სტუდენტებმა ასეთი მიზეზები დაასახელეს: გამოკითხულიდან 152 (25%) აღნიშნავს, რომ მთვარი მიზეზი არის უნივერსიტეტის პრესტიჟი; გამოკითხულიდან 129 (22%), ასახელებს, რომ ამის მიზეზი არის უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა; გამოკითხულთაგან 124 (21%) ფიქრობს, რომ ამ უნივერსიტეტში არის აქტიური სტუდენტური ცხოვრება; 84 (14%) გამოკითხული აღიარებს, რომ მას მიეცემა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, 39 (6%) გამოკითხული ამბობს, რომ ჩემს მიერ არჩეულ უნივერსიტეტს აქვს სწავლის შედარებით მცირე საფასური 36 (6%) გამოკითხული მიზეზად ასახელებს პროგრამების ფართო არჩევანს, ხოლო 22 (4%) გამოკითხული ამბობს, რომ შედარებით მცირე კონკურსია და ჩაბარების მეტი ალბათობა მაქვსო.

ჩვენ ინტერესის სფეროს წარმოადგენდა გაგვეგო თუ საიდან მიიღო ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ. გამოკითხულებმა სხვადასხვა ვარიანტი დაასახელეს. გამოკითხულთაგან 220 (39%) აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაცია მიიღო ცნობარიდან აბიტურიენტებისათვის; 23 (4%) გამოკითხული ინფორმაციის წყაროდ ასახელებს რეკლამას; გამოკითხული მოსწავლეებიდან 62 (11%) აღნიშნავს, რომ ინფორმაციის მიიღო მასმედიის საშუალებებიდან; 224 (39%) გამოკითხული მიუთითებს, რომ ძირითადად ინფორმირება მოხდა მეგობრებისა და ახლობლებისაგან; გამოკითხულიდან 36; 6% აღნიშნავს, რომ იყო ღია კარის დღეზე უნივერსიტეტში და ა. შ.

ჩვენ დავინტერესდით გვეკითხა მომავალი სტუდენტებისათვის აქვთ თუ არა დაფინანსების (გრანტის) მოპოვების იმედი, გამოკითხულთა პასუხები ასე გადანაწილდა: დიახ იმედი აქვს **425 (64%)** გამოკითხულს, ხოლო იმედი არ აქვს **244-ს (36%)**.

კვლევისას ვიფიქრეთ გაგვეგო რამდენად მყარი იყო მათი გადაწყვეტილება, ამდენად შევეკითხეთ - რამდენად მოსალოდნელია, რომ შეცვლით გადაწყვეტილებას? **347 (62%)** გამოკითხული ამბობს, რომ არ შეცვლის, გამოკითხულთაგან **192 (34%)** აღნიშნავს, რომ შესაძლოა შეცვალოს; ხოლო - **21 ანუ 4%** აღნიშნავს, რომ დიდი ალბათობით შეცვლის.

ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოში კვლავინდებურად დიდია დაინტერესება უმაღლესი განათლებით შესაბამისად, მაღალია მოთხოვნა საგანმანათლებლო მომსახურებაზე; ყველაზე მოთხოვნად სპეციალობებად კვლავინდებურად რჩება სამედიცინო, იურიდიული და ეკონომიკური სპეციალობები; სასურველ უმაღლეს სასწავლებლებს შორის ძირითადად ლიდერობენ სახელმწიფო სასწავლებლები.

ჩატარებული კვლევა დაეხმარება მაგისტრანტებს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაში. ვფიქრობ კვლევისას წარმოქმნილი თავისებურებები ხელს შეუწყობს განათლების სისტემაში კვლევის სწორ დაგეგმვას. ისინი შეძლებს სწორად დასახოს მიზანი, რის საფუძველზეც კარგად შეადგინოს კვლევის სქემა და წარმართოს მიზანმიმართულად, შესაბამისად მიღებული შედეგები იქნება ხარისხიანი და არ გაუჭირდება მონაცემთა დამუშავება, ანალიზის წარდგენა საზოგადოებისათვის.

ჩვენს მიერ სკოლებში ჩატარებული კვლევის შედეგები დაეხმარება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უკეთ დაგეგმოს მარკეტინგული კომუნიკაციების სტრატეგია და სამიზნე ჯგუფს შესთავაზოს მათზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურება.